საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

ლელო

№ 93
(11 754)

2 - 4 დეკემბერი, 2003 წ. ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ნომერში:

- ვინ მიიწვია აუსაზღვრებლად?
- „დინამო" ამაყობდა სხვა ეროვნებათა შესაძლებლობით
- „ლოკომოტივი" ევრო-2004-ის ახალი გუნდი
- მაღალი ჯილდო ბეკჯემს
- დევისის თასი ავსტრალიელებს
- დაუზარებლად კალათბურთის თავყვარელადანერგილი?
- საჭადრაკო ამოცანა, კროსვორდი

კალათბურთი • ფაქტა ეროვნული ჩემპიონატი

„დინამო" აგებს, მაინც ლიდერობს

ნაბიჯ-ნაბიჯ, მაგრამ მტკიცედ იხეტებს ატლეტიკურ ეროვნული საკალათბურთო ჩემპიონატი. ვინც მუდმივად აღიქვამს თვალყურს გათამაშებას ბოლო წლებში, დაგეთანხმება, რომ ინტრიგით მატჩებისაგან საგრძნობლად ამაღლდა ეს იღმის კლასზეც. მართალია, აშკარად გამოიკვეთა ლიდერთა და ატუსაიდერთა ჯგუფები, მაგრამ ზოგჯერ არათუ ერთმანეთში მატჩისას, არამედ ლიდერ-ატუსაიდერთა თამაშებშიც ცნობება საკმაო სიმწყვდე.

წინა ტურში „მაკაბი" — სსუს მატჩში მართალია ერთმანეთს ატუსაიდერები დაუპირისპირდნენ, მაგრამ შეხვედრა სულაც არ იყო მოსაწყენი. მეტოქეებმა თავიდან ბოლომდე თავდაუზოგავად იბრძოლეს და თუ ერთ გუნდს, ამ შემთხვევაში „მაკაბს", დარჩა გამარჯვება, ეს იმიტომ, რომ გუნდმა უკეთ გამოიყენა ბოლო წუთები და ისეც, როგორც პირველ ნახევარში, აჭყარდაც მატჩი თავის სასარგებლოდ დასრულა. მხლოდ ერთხელ, მეორე მეოთხედი მოიგეს სოხუმელებმა (21:16) მომდევნო პერიოდი მათ ერთი ქულით დაუმატეს (23:24), მაკაბელებმა კი პირველი და ბოლო მეოთხედები უფრო

იხ. #2-ე გვ.

ფოტო ელდარ მალხაზიშვილისა

თქვენ რას ფიქრობთ?

გამოსაუპრება

.....თუ გამორჩევით მძიმეა"

ეეთანხმები ჯეელს, ვინც მხარს უჭერს სპორტის დეპარტამენტის წარდგინებით სპორტის ოლიმპიური სახეობებისთვის ხელისუფლების მიერ საჭირო თანხის გამოყოფას. ამასთან, „სპორტის შესახებ" კანონის შესაბამისად უნდა შემუშავდეს და დაფინანსდეს ბავშვთა სპორტის განვითარების პროგრამა. საქართველოს ოლიმპიური რეზერვის მომზადების სკოლები უნდა დაფინანსდეს ცენტრალური ბიუჯეტიდან.

ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად მიმაჩნია ქართულ ჯარში გასაწევი ახალგაზრდების მიზანმიმართული ფიზიკური მომზადება, ამისათვის სკოლებში და უმაღლეს სასწავლებლებში უნდა დაინერგოს სპეციალური ნორმატივები საერთო ფიზიკურ მომზადებაში, რომლის ჩაუბარებლად ჯარისკაც კონტინგენტზე არ უნდა გაიცეს ატესტატი ან დიპლომი.

ეეთანხმები კოლეგების გამოშაურებას იმაშიც, რომ დეპარტამენტის თანამნობით აღსდეს მწერინელოა კვალიფიკაციის ამაღლება-გადამზადების პროცესი ჯერ კიდევ არსებული შესაბამისი კურსების ბაზაზე.

ბოლოს, იქნებ ახალმა მთავრობამ და ახალი მოწვევის პარლამენტმა მიიღონ ესოდენ ნანატრი კანონი იმის თაობაზე, რომ ბიზნესმენები, რომლებიც დაეხმარებიან სპორტს, შესაბამისი თანხით განთავისუფლდნენ მოგებიდან შეტანისაგან. თუ ეს მოხერხდა, ბევრი სპონსორი გამოეწერება ქართულ სპორტს და პრობლემაც საბოლოოდ გადაიჭრება.

ბიძი ძაღვარი,
საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი.

საქართველოც ასახელეს და აკლდემიაც

კარატე

თეირანში, სადაც 10 ქვეყნის მონაწილეობით ჩატარდა ირანის სპორთა-შორისო ტურნირი კიოკუშინკან კარატეში, წარმატებით ისპარებენ ორმა ქართველმა კარატისტმა. აზსოლტყრო წონით კატეგორიაში უძლიერესის სახელი მოიპოვა საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის 1 კურსის სტუდენტმა ემზარ ნიკაძემ, ამავე აკადემიის II კურსელი ლევან მშველიშვილი კი მესამე ოდ 90 კგ-მდე წონით კატეგორიაში. ტურნირში მონაწილეობდა კიდევ ორი კარატისტი, რომლებიც ასევე ხსენებული აკადემიის სტუდენტები არიან. ჩვენმა გუნდმა, რომელიც საქართველოს წარმოადგენდა ამ შეჯიბრებაზე, გუნდურ ჩათვლაში დაიკავა მესამე საპრიზო ადგილი. დღეს სპორტის აკადემიაში, რექტორი, აკადემიკოსი ომარ გოგიაშვილი ირანიდან დაბრუნებულ გუნდს მიიღებს.

ც. ბაძრაძე.

ნავა, არ ნავა...



ძალიან ცუდი იქნება, თუ გარდამავალი ხელისუფლება სპორტისთვის ვერ მოიცლის — განსული კვირის მიწურულს ასე ფიქრობდნენ ქართული სპორტის გულშემტკივრები. სამაბიე ჰკვიდათ — ძიუოსიტიკოს ეროვნული ნაკრები ევროპის გუნდური პირველობის ფინალურ ეტაპზე გამგზავრებასთან დაკავშირებით ფინანსური პრობლემის გადაჭრა, რაც, სხვათა შორის, მეფეზეი თანამდევი პრობლემაა ქართული სპორტისთვის.

ეს ასპარეზობა, რომლის ფინალში მონაწილეობის უფლება ჩვენმა ნაკრებმა წლეულსვე მოიპოვა დიუელდორფში გამართულ საქართველო-პორტუგალიის პირველობაზე უკონკურენტობით და ესპანელებთან ერთად, ლონდონში ეიოწევა 5 დეკემბერს. ასე რომ, დრო ცოტა რჩება, ანუ თითქმის აღარ რჩება. გაფრენის თარიღიც მოახლოვდა... ავიაბილეთები ჯერ კიდევ გასულ კვირაში უნდა ეყიდა გუნდს, მაგრამ თანხა არ აღმოჩნდა — სამშაბათისთვის გადადებაც მოახერხეს. სამშაბათი კი დღესაა, როგორაა საქმე?

ანზორ მარტყოფლიშვილი — ძიუდოს ფედერაციის გენერალური მდივანი: „საქმე ისაა, რომ ფინანსების მინისტრის მოუცელელობის გამო, ვერ მოხერხდა სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის ირაკლი მემძრომიშვილის მასთან შეხვედრა. ოთხშაბათისთვის გადადეს. ახლა ყველა ღონეს ვხმარობთ, რომ ავიაბილეთები სესხით მაინც ავიღოთ. ენახოთ, რა გამოვა. ქვეყნები მილიონების ხარჯავენ, რომ ოთხეულში მოხვდნენ, ჩვენ ფინალურ ეტაპზე გასულები ვართ. მაგრამ"...

აი, ასე სავალალოდ აქვს სადღესოდ საქმე ეეროპის ჩემპიონატის ფაკორიტს, საქართველოს ნაკრებს. გვჯერა, რომ ფინანსთა მინისტრი მოიცლის, მაგრამ ვშიშობთ გვიან არ იყოს, ჩემპიონატი ხომ არ მოიცდის...

ჩვენი ნაკრები ლონდონისთვის ასეთი შემადგენლობით დაკომპლექტდა: ნესტორ ხერგიანი (60), დავით მარგიანელი (66), გიორგი რევაზიშვილი (73), დავით ნადარაია (81), ზურაბ ზვიადაური (90), იყერი ჯიქურაული (100), ალექსი დავითაშვილი (მძიმე). საქართველოს ნაკრები ფაკორიტად იითვება. შეგახსენებთ, რომ ფინალურ ეტაპზე ვერ მოხვდნენ საფრანგეთის, რუსეთის, გერმანიის, იტალიის, ჰოლანდიის, თურქეთის, ბელარუსის გუნდები.

ვარდები ოლიმპიური ჩემპიონებისთვის

ოწყება ახალი ცხოვრება და სპორტის შემოქმედება, თავყანისმცემლებთან ერთად, იმედით მოელიან ხვალინდელ დღეს. აქამდელმა სისტემამ, მხედველობაში გვაქვს ქვეყანაში სპორტისადმი სახელმწიფო მიდგომა, რბილად რომ თქვათ, იმედები გაგვიცრუა. ფაქტობრივად, ბევრი რამ უარყოფით საბჭოთაოს დროინდელი, ახალი, უფუქმური ჩამძაცცლებული კი არაფერი შექმნილა. მაყორივი სპორტი, განსაკუთრებით ბავშვთა ფიზიკურზრდაზე ზრუნვა, რომელიც ევლეტურულ ქვეყნების ერის ჯანმრთელობის გარანტად მიაჩნიათ, საერთოდ, დავიწყებას მიეცა. ადრე რაიონებში ბიუჯეტიდან გარკვეული თანხა თუ ზოგადად სპორტის განვითარებას ხმარდებოდა, მერე მთლიანად ფეხბურთზე გადავიდა ყველაფერი. მაგრამ, სამწუხაროდ, არც სპორტის ამ სახეობაში გვაქვს დასაქადნად საქმე. მიზეზებისა და სხვა ფაქტების ანალიზს რომ არ მოვყვეთ, მოკლედ მოვჭრით: ხვალინდელმა დღემ ქართულ სპორტს უნდა ჩაუნეროს წინსვლის ფრვენი, ხელისუფლება უნდა შემობრუნდეს სპორტისკენ. თუ ასე მოხდა და გვჯერა რომ ასეც იქნება, მაშინ ჩვენი ძვირფასი სპეციალისტები უფრო შემართებით გაიორკვიანან, სპორტიდან უკვე წასულებს კი კვლავ უნდა გაუნძღეს სპორტის ორიბატზე დაბრუნების, სამამულო სპორტის მსახურების სურვილი.

საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს, ხვავრდენან-ვარდოვანი რევოლუციის ერთ-ერთ მთავარ შემოქმედს მიხეილ სააკაშვილს, სხვებზე მეტად თუ არა, ნაკლებად ნამდვილად არ ესმის სპორტის მნიშვნელობა, განსაკუთრებით მოზარდი თაობისა და ახალგაზრდობის პრომონულად აღზრდაში. ვიყოთ გულახდილები და ვაღიაროთ, რომ სააკაშვილმა და არა სხვამ ვინმემ, ეს საქმით დაადასტურა, როცა ბოლო წლებში ბევრი სპორტული მოედანი კეთილმოწყო და დაუბრუნა ბავშვებს, ზოგან განათებითაც. ცნობილია დიდი სპორტსმენი მისი თანადგომის არაერთი მაგალითიც. მაგრამ ქართული სპორტის ბედი დამოკიდებული არ უნდა იყოს იმაზე ზედა ეშელონებში ვინ კეთილად იქნება განწყობილი მისდამი და ვინ არა. სისტემაა შესაქმნელი, სახელმწიფო სისტემა, რაც, იმედია, ცხოვრების განახლების პროცესში რეფორმატორებს მხედველობიდან არ გამორჩებათ.

ქართული სპორტი და მისი ქომაგები დარწმუნებულნი არიან, რომ 2004 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების ტემპი არა თუ შენელდება, არამედ, სახელმწიფო მხარდაჭერით, სრული გაქანებით მოიკრიბს ძალას, რათა ათენიდან საშობლოში შინ დაბრუნებული ჩვენს ათლეტებს აეროპორტში ზღვა ვარდებით შეეგებებოთ...

ვინ გახდება თბილისის ჩემპიონი?

ჭადრაკის სასახლეში მიმდინარეობს დედაქალაქის პირველობა ჭადრაკში, რომელიც ამჟამინდელად საქართველოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპიცაა. დებიუტების თანამად 3 სატკეთო ეკი და 2 გოგონა მიიღეს ქვეყნის ჩემპიონატზე ასპარეზობის უფლებას. შეჯიბრება შვეიცარიული სისტემით 9 ტურად ტარდება. 6 ტურის შემდეგ ვაკია შორის 5-5 ქულით ლიდერობენ თორნიკე სანიკიძე და შოთა აზალაძე. 4,5 ქულა აქვს ლევან ბრეგაძეს.

გოგონათა შორის პირველ ადგილზე 4 ქულით მაყა ფურცელაძეა, რომელსაც ნახევარი ქულით ჩამორჩება თეონა მესხი.

დღეს გაიმართება მორიგი, მეშვიდე ტურის პარტიები.

თამარ ხმიადაშვილი — მსოფლიო ჩემპიონი სინიორთა შორის

გერმანიის ქალაქ ცეიშენაში დასრულდა სინიორთა მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში, რომელშიც მონაწილე 22 მოჭადრაკემ შორის ასპარეზობდა თბილისელი თამარ ხმიადაშვილი. შეჯიბრება შვეიცარიული სისტემით, 9 ტურად ჩატარდა. 7,5-7,5 ქულით პირელ-მეორე ადგილები გაიყვეს ქართველმა დიდოსტატმა და მარტა ლიტინსკაიამ. უკანასკნელი კოეფიციენტი თამარ ხმიადაშვილს აღმოაჩნდა და მასვე მიენიჭა მსოფლიო ჩემპიონატის ტიტული. მესამე ადგილზე 6,5 ქულით გავიდა ვრეწსკა დარჩა.

თამარ ხმიადაშვილის მსოფლიო ჩემპიონატზე გამგზავრება ფინანსურად უზრუნველყო პოლიტიკურმა გაერთიანებამ „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს".

გარდაიცვალა პირველი ქალი, ვინც ღა-მანში გადაცურა

ნიუ-ჯერსიში (აშშ), 98 წლის ასაკში გარდაიცვალა პერორუდა ედერლი - პირველი ქალი, ვინც გადალახა ღა-მანშის სრუტე. 1925 წლის 6 აგვისტოს 20 წლის ედერლიმ დაამყარა რეკორდი: გადაცურა საზღვაო ტერიტორია საფრანგეთის ნაპირებიდან ინგლისამდე, რასაც 14 საათი და 30 წუთი მოანდომა. საინტერესოა, რომ მანამდე მსგავსი რამ შეძლო ხუთმა მამაკაცმა.

ეროვნული სპორტი

ციტატა

„მთავარ გაზეთ სპორტში" გასულ შაბათს გამოქვეყნდა წერილი სათაურით „ეწნოტ როდრიგესი ქართველების ისევ შესთვაზა". სფუ-ს გენერალურმა მდივანმა ე. ჩოლარიამ კორესპონდენტს განუცხადა, რომ „ნაკრების მომავალ მწვრთნელთან დაკავშირებით ყველაფერი ნორმალურად მიდის და ვინაობის უახლოეს მომავალში გავიგებთ. მთლი თქმით, ცოტა ხნის წინ ნიკო პატარქალიშვილმა მენორის შეტყობინება გადმოსცა. ცნობილი არგენტინელი მწვრთნელი ქართულ მხარეს კვლავ სთავაზობს თანამემამულე ბრუნო როდრიგესის კანდიდატურას."

სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

დღეს, 2 დეკემბერს, 16 საათზე, თბილისის ჟურნალისტთა სახლში (ერეკლეს მოედანი) გაიმართება საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის საანგარიშო-საარჩევნო კონფერენცია.

სსუ-ს ადმინისკომი

შეკითხვა „ლელოს"!

შეკითხვა: ვარ ქალთა ჰოკეის გულშემატკივარი. ცოტა ხანს მშვიდობიანობდ კიდეც სქვიდით. გთხოვთ მიპასუხოთ, რამდენად პოპულარულია ქალთა ჰოკეი მსოფლიოში?

ეკა დანელია
ქუთაისი

პასუხი: ქალთა ჰოკეი მსოფლიოს 60-ზე მეტ ქვეყანაშია დაფეგრილი, სდე კი მსოფლიოში აღრიცხული სპორტის ამ სახეობის 3 მილიონამდე მამდევარი, რომელთა შორის ნახევარზე მეტი ქალია. აღსანიშნავია, რომ ავსტრალიაში ჰოკეი ქალთა სკოლებში სასწავლო პროგრამაშია შეტანილი.



ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს 2 ჟურნალი და 3 თვე გვაშორებს

ათენში 2004 წლის ოლიმპიურ თამაშებამდე 256 დღე დარჩა

ვრცელ ინფორმაციას ათენის ოლიმპიური თამაშების შესახებ ქართულ ენაზე იხილავთ ჟურნალ „ლ“-ის ფურცლებზე

უკეთ, პირდაპირ სიდნეიში!

ცურვა გლდანში

გლდანში ოლიმპიური რეზერვების სასწავლებლის (სპორტინტერნატის) ტერიტორიაზე მდებარე „შეცურვების“ ცურვის სპორტსკოლის აუზში გაიმართა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, სპორტის დამსახურებული მუშაკის ილენა (ლენა) გასანოვას მეხსიერებისადმი მიძღვნილი 1992-1995 წლებში დაბადებულ მოცურავეთა შორის. შეჯიბრების ორგანიზატორი იყო „შეცურვების“ ცურვის სპორტსკოლის დირექტორი ნიკოლოზ მინსაშვილი.

გაგაცნობთ ტურნირის გამარჯვებულებს და მერე პრიზიორებს. **თავისუფალი სტილი. 25 მ:** მარი ასანიანშვილი (დილომა), ბექა კურტანიძე (ვორი). **50 მ.** სიფო დვალიძე, ირაკლი შენგელია („ლაგუნა-ვერე“); **100 მ.** ეკა კაჭახიძე („ლაგუნა-ვერე“), ირაკლი ჩიქოვანი (დილომი). **გულაღმა ცურვა.** 100 მ. მარი ჯანდიერი (დილომი), ირაკლი შენგელია („ლაგუნა-ვერე“). **ბრასი.** 100 მ. ნინო კობახიძე („ლაგუნა-ვერე“), გიგი მთვარალაშვილი („ლაგუნა-ვერე“). **ბატერფლაი:** 100 მ. ეკა კაჭახიძე, გიგი მთვარალაშვილი („ლაგუნა-ვერე“).

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ გორის და რუსთავის 120-ზე მეტი ნორჩი მოცურავე.

რობერტ ბაგოთანის ფოტო

იგორ ნესუაშვილი

44 წლისა უცრად გარდაიცვალა ვეტერანი ფრენბურთელი, ცნობილი მწვრთნელი და მსაჯი იგორ ნესუაშვილი.

ი. ნესუაშვილი თავისი თაობის გამორჩენილი სპორტსმენი იყო, უასპარეზოა როგორც მოსწავლეთა, ისე ეროვნულ ნაკრებ გუნდებში. დიდი სპორტიდან წასვლის შემდეგ ნაკრებშიც დარჩა მწვრთნელად, მუშაობდა აგრეთვე მოზარდებთან. ამასთან, ი. ნესუაშვილმა თავი გამოიჩინა როგორც მაღალკვალიფიციურმა, პრინციპულმა, შეუვალმა მსაჯმა. ჯერ გახდა რესპუბლიკური, შემდეგ კი საკავშირო – საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი. როგორც მაღალი დონის საცნაულისხმო დიდხანს ედგა სათავეში საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის მსაჯთა კოლეგიას. საუკეთესო ორგანიზატორული ნიჭი გამოავლინა შას „ფრენბურთელში“, რომლის დირექტორადაც სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა.

უდროოდ წავიდა ჩვენგან შესანიშნავი სპეციალისტი, გულისხმიერი მეგობარი, ალალი, გულდაწყვილებული ადამიანი, ყველასთვის საყვარელი პიროვნება.

საქართველოს სპორტული საზოგადოებრობა, ფრენბურთელთა ამქარი, ყველა, ვინც ახლოს იცნობდა იგორ ნესუაშვილს, დაეხმარება არასდროს მისცემს მის ნათელ ხსოვნას.

ქ. თბილისის მერიის განათლების განყოფილება, საქართველოს ფრენბურთის ფედერაცია.

„დინამო“ აგებს, მაინც ლიდერობს

პირველი გვერდიდან

დამჯერებლად მოიგეს (შესაბამისად 23:17, 26:17), საბოლოო წარმატებასაც მათ მიაღწიეს — 89:78. თავის გუნდს 26 ქულა შესძინა მაკბეღმა ეკატერინემ. სოხუმელთაგან საუკეთესო იყო სორდია — 29.

ლიდერ-ატესტატების „დინამო“ — „ქუთაისის“ შეხვედრაში სენსაცია პირველ მეოთხედშივე დაფენილრდა — ქუთაისურებმა მატჩის ეს მონაკვეთი 20:18 მოიგეს. მაგრამ „დინამო“ ის გუნდი არ არის, ამგვარმა შემთხვევითობამ რომ წონასწორობა დაარღვიონის, მით უფრო, რომ ისინი, ჩვეულებრივ, მეორე მეოთხედიდან იწყებენ საბრძოლო თამაშს. შემდეგი მონაკვეთები დინამოელებმა 22:17, 19:16, 24:18 მოიგეს — 83:71. დინამოელთაგან საუკეთესო იყო მინაშვილი — 18, ქუთაისელთაგან შანიე — 15.

ზემოთ ვლანიშნეთ რომ მიკადექით, მცირეოდენი შესწორება უნდა შევიტანოთ ზემოთქმულში. საქმე იმაშია, რომ თუ ვინმე ამ ჩემპიონატში ოსტატობის ბარომეტრია ეს „დინამოზე“ ითქმის უპირველესად. ამ შეხვედრაში კი გუნდი თავის თავს არ ჰგავდა. დაისჯა კიდეც. პოლიტეხნიკოსებმა თამაში მოიგეს 92:89 (25:16, 20:24, 27:26, 17:27). როგორც ხედავთ, „დინამომ“ პირველი და მესამე მეოთხედი მოიგო (ეს უკანასკნელი გაჭიანურებით), უნდა ვიფიქროთ, რომ დიდი ტრადიციების გუნდისთვის ეს შემთხვევითობაა. დინამოდან საუკეთესო იყო მინაშვილი (23), სტუდენტებიდან ბაბიაშვილი (22).

სხვათაშორის წარმატების შემდეგ „მაკაბი“ „ქუთაისის“ დაუპირისპირდა. პირველი მეოთხედი მაკაბელებმა დაიმედეს 25:33, ეს ანგარიში თითქოს გამლიზინებელად იქცა, მასპინძლებმა ერთი მეორის მიყოლებით მოიგეს მატჩის დარჩენილი სამი მონაკვეთი შესაბამისად — 27:18, 17:12, 26:13, საბოლოოდ — 95:76. გამარჯვებულთაგან 37 ქულა შესძინა თავისიანებს სტანშვილმა, ქუთაისელთაგან საუკეთესო იყო პირტახია — 24.

გათამაშების ერთ-ერთმა ლიდერმა თსუ-მ მარცხი ოწუნია რუსთავში ადგილობრივ გუნდთან. მატჩი მართლაც დაძაბული გამოდგა. ბოლო ათწამლებმა პირველ მეოთხედში თსუ-ს მარცხი დასაბრალა. ასე თუ ისე, მაგრამ ორივე გუნდმა ეს მეოთხედი ფრედ დაასრულა — 25:25. მეორე მეოთხედში ოთხივე ათეული ერთმანეთის ტოლფასად ებრძოდა ერთმანეთს, ანგარიშიც ერთნაირად ეწერებოდა — 23:23. ბოლო ორ წუთში ადგილობრივებმა ოთხი ქულა მოუგროვეს და ნახევრის დასრულებისას ანგარიშიც ამ ქულებით გაიზარდა — 48:44. მეორე ნახევარში ორივე გუნდი ერთნაირად ეწეოდა ბრძოლას, ანგარიშიც ერთნაირად იზრდებოდა, ამიტომ ბოლო სირენის ხმა ისე დახვდა მოთამაშეებს, რომ ვერავინ გაარკვია, ვინ მოიგო. ამ ორთაბრძოლის გამარჯვებული ბოლო ათწამლებმა გამოავლინეს — 71:70 თსუ-ს სასარგებლოდ. ამ გუნდის ათეულში ყველა ერთნაირად ეთამაშა, ამიტომ ვერც ერთ მათგანს ვერ გამოარჩევ.

ტურნირის ლიდერ-ატესტატების ბრძოლა ბოლო ტურამდე გაგრძელდა. ამ ტურში ლიდერობა ისევ „დინამომ“ შეინარჩუნა, ოღონდ ამჯერად ძალიან ძნელად. ბოლო ათწამლებმა ეს მატჩი 71:70 მოიგეს. ამ გამარჯვებით „დინამომ“ ლიდერობა შეინარჩუნა, ხოლო „ქუთაისის“ ათეულმა ბრინჯაოს მედლები მოიპოვა.

ტურნირის საბოლოო ცხრილი ასეთია:

1	დინამო	11	9	2	+215	20
2	თსუ	11	8	3	+97	19
3	ბასკო	10	8	2	+238	18
4	სტუ	10	7	3	+163	17
5	რუსთავი	11	6	5	+25	17
6	მაკაბი	10	4	6	-46	14
7	სტიფენ გამარჯვების სსუ	12	2	10	-270	14
8	ქუთაისი	13	0	13	-422	13

მოდგმა — 85:75 (22:15, 24:30, 13:17, 26:13).

მუშთაიდის ბაღში...

მუშთაიდის ბაღში არსებულ სამჭილოს სპორტული ცეკვების სტუდია „იელში“ ჩატარდა ღია სარეიტინგო პირველობა სამჭილოს სპორტულ ცეკვებში. 55 წყვილ შორის თბილისელთა გარდა მონაწილეობდნენ ახალციხელი და რუსთაველი მოცეკვე-სპორტსმენები.

უფროს ასაკში ჩემპიონები გახდნენ თინიკო გუგავა და ზურაბ კიკაბიძის („იელი“) წყვილი. მეორე იყო მზია ორჯონიკიძე და გოგიტა გონგაძე („ელეგია“), მესამე — ვა კაკაჭაშვილი და შალვა ორჯონიკიძე („ელეგია“).

ბავშვთა შორის პირველობდნენ მარიამ ლორიძის და სოსო ოდიკაძის („ფეიტა“) დუეტი.

ლათინო-ამერიკულ სპორტულ ცეკვებში გაიმარჯვა ნინო გელაშვილის და ლევან ხოკოლავის („ელეგია“) წყვილმა. შეჯიბრების ორგანიზატორი იყო სპორტკლუბი „ელეგია“.

გაისად, მარტში, გაიმართება თბილისის თასის გათამაშება სპორტულ ცეკვებში.

სურათებზე: სოსო სარაშვილ-ლეკა ორომელიძის (ახალციხე) წყვილი. ასაპობრივ ჯგუფებში გამარჯვებულები.

რობერტ ბაგოთანის ფოტოები.

ფოტო – არქივიდან...

— იყო დრო, არაერთი სპორტული შეჯიბრება ტარდებოდა როგორც ზაფხულის, ისე ზამთრის სპორტის სახეობებში გაზეთ „ლელის“ პრიზზე 50 წლის წინათ, 1953 წლის დეკემბერში. წყალბურთში „ლელის“ პრიზის ტარადიციულ გათამაშებაში უძლიერესის სახელი მოიპოვა თბილისის პირველმა გუნდმა, რომელიც ძირითადად დაკომპლექტებული იყო „დინამოს“ წყალბურთელებით. მათ თასისთვის გადამწყვეტ ბრძოლაში დაამარცხეს „ნორჩი დინამოელი“ — 8:4. ამ გუნდების გარდა ტურნირში მონაწილეობდნენ სოხუმის, ფოთის, თბილისის „მედიცინა“ და „ტრუდის“ წყალბურთელები.

ფოტოებზე, რომელსაც ამჟე გთავაზობთ, აღბეჭდილნი არიან გამარჯვებული გუნდის წევრები. **I რიგში,** მარცხნიდან: ლ. კრილოვი, ვ. გოთუაშვილი, ხ. შაიდულინი, ვ. ბარათაევი, ნ. პოტაპოვი; **II რიგში:** რ. ალტაევი, ვ. ნიკოლაძე, ბ. დარახველიძე, ქ. ოვანესიანი, გ. ფეფოროვი.

ფოტოები მ. ზარგარიანისა.



ლ — მაჯისანე

50 წლის წინათ...

თბილისი. 1953 წლის პირველობა სამბოლი დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით, მეორე იყო — „ნაფტა“, — მესამე — „მედიცა“. პირველი ადგილები დაიკავეს: კ. ინასარიძემ, ნ. ნინოაშვილმა, ბ. მაზიაშვილმა, ს. ბოლოთაშვილმა, ო. შინკიაშვილმა, შ. ეცადაშვილმა, თ. ელერდაშვილმა და ლ. კაციაშვილმა.

გარუბანი. ჭარტეხილ პიდაობაში რაინის პირველობაში გაიმარჯვეს: მ. მუთიაშვილმა, მ. სიმონიშვილმა, ზ. ითამეიძემ, ს. წიკლაურმა, ლ. ბუღაშვილმა, ვ. გოგოლაშვილმა, ი. ქაჭაროზაშვილმა და ა. ჯავახიშვილმა.

გურჯაანი. აქ გაიმართა სპორტული შეჯიბრებები მძლეოსნობაში, ცხენოსნობაში, ფეხბურთსა და სპორტის სხვა სახეობებში.

ცხენოსნობაში დაბრკოლებათა ზოლის გადალახვაში ჯვილს ჯობებს შ. მსუქნიშვილმა და გ. ბაგრატიშვილმა, ისინიდან — ს. მინდორაშვილმა, გ. ბეგაშვილმა და ს. ჭაჩიანშვილმა. 100 მ. ბრბენაში საუკეთესო იყო მოსწავლე რ. ჯანგულაშვილი. ფეხბურთში სპორტსკოლის გუნდმა კარდენახელები დაამარცხეს — 3-2.

რუსეთის ფედერაციის ელჩს საქართველოში ბაჭონ ვ. ჩხიკვიშვილს

ბატონო ელჩო!

გვინდა უდიდესი გულისტკივილით გამცნოთ, რომ იმ დროს, როდესაც რუსეთის და საქართველოს მთავრობებს შორის დღითიდღე ეჭიბოსებდა ურთიერთგაგება, როდესაც მოსკოვსა და სრულიად რუსეთის პატრიარქი ალექსი II მიმდინარე წლის 31 იანვარს საროვში გამართულ წმინდა სინოდის სხდომაზე გმობს აფხაზეთის აუღიარებელი რესპუბლიკის საკულტო სპარატიზმს და აფხაზეთის საპატრიარქოს ისტორიულად დაკანონებული ტერიტორიის განუყოფელ ნაწილად სცნობს, კვლავ რჩება ძალები, რომლებიც არარად აგდებს რუსი და ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან კეთილმეზობლობას, ქრისტიანულ დოგმებს, დ.ს.ი. კანონებს ინტერესებს და ცდილობს მტრული მარცხვლების გაღვივებას. ამის მაგალითია „სამხრეთ რუსეთის სრულყოფილებითი ხელმარისული ბრძოლების“ ფედერაციის თავმჯდომარის, ვიწმე ს.ბ. ეჩრმაკოვის მიერ „დსთ-ს კანონის ჩემპიონატად“ მონათლული პირუელობების სერია, რომელშიც, როგორც დსთ-ს სუბიექტი მონაწილეობს აფხაზეთის სპარატისტული ნაწილი. მარტო 2003 წელს სამი ასეთი ღონისძიება ჩატარდა სპარატისტთა მონაწილეობით, მათ შორის ერთ-ერთი 21-23 ივნისს ოყუპირებულ საქართველოს ტერიტორიაზე დაბა ბიჭვინთაში და მიეძღვნა „აფხაზეთის რესპუბლიკის“ დამოუკიდებლობის 10 წლისთავს.

ბატონო ელჩო! გიხოვთ, ამ ამაზრზენ ფაქტს მისცეთ შესაბამისი მკაცრი შეფასება და დაიყენოთ საკითხი მსგავსი გამოხდომების აღკვეთის შესახებ.

იმედია, ეჩრმაკოვის მსგავსი ავანტიურისტები ვერ შეცვლის რუსი და ქართველი ხალხის ურთიერთკეთილდღეწყნობას, რუსი და ქართველი სპარატისტების ჯანსაღ, უმწიკვლო მეგობრობას.

საქართველოს სპორტის არასამთავრობო სახეობათა ეროვნული კომიტეტი, საქართველოს საგარეო ხელოვნების ასოციაციონი საბჭო.

ფეხბურთი რასიზმის გარეშე

UNITE AGAINST RACISM

მიმოხილვა, ანონსი

თავი ქუდში აქვთ

ეს მოსწრებული გამოთქმა ეროვნული პირველობის დაწინაურებულ სამეულს თუ მიესადაგება. თბილისის „დინამო", ფეჯტბორიდან, პირველი ტაპის უპირობო ჩემპიონია, წელგამართული და სამოქალო ამბიციური გეგმებით შეეძლია შეხვედს სეზონის განაბლებას ბოლნისის „სიონი", დედაქალაქის „ცეტ ჯორჯია" ყოველთვის მოწინავეთა რიგებშია. ჩემპიონატის აღმოჩენებად შეგვიძლია მივიჩნიოთ გორის „დილა" და „თბილისი". სწორედ ამ გუნდების შესაბამისად, „დინამოსთან" და „ცეტ ჯორჯიასთან" მატჩებია გამოსარჩევი ხვალინდელ XXI ტურში. პირველი ტაპის ბოლოსწინა ტური წინამორბედის მსგავსად, სრულად ჩატარდება და ექსპერტ მატჩი ერთ დღეს გაიმართება. სატურნირო ვითარების დაღაგების მხრივ უმნიშვნელოვანესი მატჩი გაიმართა ბათუმში. ადგილობრივი „დინამო" უთმინდობის გამო გადატანილ მატჩში დაუპირისპირდა თბილისის „ცეტ ჯორჯიას". მატჩი ვიტეხებმა სოლიდური უპირატესობით 3-1 მოიგეს და „სიონს" ერთი ქულით გადაასწრეს. სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე ხვალ, მნიშვნელოვანი მატჩები გაიმართება ბათუმში, მცხეთაში და ოზურგეთში. გამარჯვება პირველი ესპირობით რკინიგზელებს, ტორპედოელებს და ბათუმელებს, რომელთაც ზედა ექსკურსში მოხვედრის შანსი კიდევ აქვთ. თავი მშვიდად რომ იგრძნონ, ქუთაისი არც „თბილისს" და „დილას" წყვდნა. ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ პირველი ტურპის ბოლოსწინა ტური დაბახსენად ჩაიელი და ექსკურსების დაკომპლექტების საკითხს, მიტნაკლებად ნათელს მოპფენს.

საქართველოს XV ეროვნული ჩემპიონობის შესახებ XXI ტური

უმაღლესი ლიგა

XIV ტურის გადატანილი მატჩი. ბათუმი. 29 ნოემბერი. სტადიონი „დინამო". 1000 მაყურებელი.
დინამო (ბთ) – ცეტ ჯორჯია 1-3
დინამო: ჭეჭახია, მახარაძე, ბეგლარი თედორაძე, გუშარაშვილი, დემბაძე, ბიწინაცა (დარჩიძე, 52), ი. შენგელია, კობიძე, ბესო თედორაძე (ფუტკარაძე, 61), ფირანდაშვილი, კაკალაძე
ცეტ ჯორჯია: მამარდაშვილი, გოჩაშვილი, ნინკარული, ლ. მერებაშვილი, იმედაშვილი, დიღმელაშვილი, ლ. ნოზაძე (დათუნაშვილი, 85), გველესიანი (ე. მერებაშვილი, 88), დეკანოსიძე (მარცვალაძე, 46), გოცირიძე, ადამია.
გოლები: 0-1 გოცირიძე (49), 0-2 ადამია (77), 0-3 მარცვალაძე (84), 1-3 ი. შენგელია (85)
მსაჯი: კ. მგისი (ზუგდიდი).

უმაღლესი ლიგა, XXI ტური

დინამო (ბთ) — სპარტაკი
დილა — დინამო (თბ)
მცხეთა — ტორპედო
სიონი — კოლხეთი 1913
თბილისი — ცეტ ჯორჯია
მერცხალი — ლოკომოტივი

დინამო (თბ)	20	14	4	2	44-8	46
ცეტ ჯორჯია	20	11	5	4	35-14	38
სიონი	20	10	7	3	28-16	37
დილა	20	10	3	7	28-19	33
თბილისი	20	9	4	7	39-25	31
ლოკომოტივი	20	9	4	7	30-22	31
დინამო (ბთ)	20	9	2	9	24-22	29
ტორპედო	20	8	4	8	21-25	28
კოლხეთი1913	20	6	3	11	15-30	21
მცხეთა	20	6	2	12	22-47	20
სპარტაკი	20	3	4	13	11-45	13
მერცხალი	20	2	4	14	17-41	10

გომბარდირები
14 გოცირიძე (ცეტჯორჯია);
13 გინზბურგი (სიონი);
12 დავითაშვილი (თბილისი);

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა
Coca-Cola
მხარდაჭერა სპონსორი

რეგიონულიდან პირველ ლიგაში

დასრულდა რეგიონული პირველობის პირველი წრე. ჩასატარებელი დარჩა რამდენიმე გადატანილი მატჩი, რომელთა შედეგი ლიგისათვის შექმნილ სატურნირო ვითარებას ბევრად ვერ შეცვლის. გამოიკვეთა იმ გუნდების ვინაობა და რაოდენობა, ვინც გაისად იბრძოლებს პირველ ლიგაში გადასასულოდად, თუმცა, ტურნირის სპეციფიკიდან გამომდინარე, ეს ბედნიერება მხოლოდ ზონებში გამარჯვებულ გუნდებს ერგებათ. ცხრატრაილერ და აღმოსავლეთ ზონებს ერთპიროვნულად ლიდერობენ, შესაბამისად, ბორჯომის „თორი" და თელავის „ალგეთი". დაბაღელი ვითარებაა დასავლეთის ზონაში, სადაც გუნდების სატურნირო მდგომარეობა ყოველი ტურის შემდეგ შეიძლება შეიცვალოს. ამჟამად, დასავლეთის ზონას ჰაიაფრის „მაღარიელი" ლიდერობს, რომელსაც კვალში უდგას ფოთის „ტაბა". აღმოსავლეთის ზონაში დაწინაურებულ თელავის „ალგეთს" მეორე წრეში კონკურენცია შეიძლება გაუწიონ ბოლნისის „სიონი-2"-მა და თბილისის „ლოკომოტივი-3"-მა. თუ სასწაული არ მოხდა, ცენტრალურ ზონაში ვერავინ შეარყევს ბორჯომელთა პოზიციებს, რომლებიც შეიძლება რეგიონული ლიგის ყველაზებიდან პირველები გადავიდნენ პირველ ლიგაში.

რეგიონული ლიგა
აღმოსავლეთის ზონა, XIII ტური
თ.სკაკიშვილი — ლოკომოტივი 3 0-2
ნორჩ. დინ 2 — ნორჩი დინ. 2-0
ობერია — ჰერეთი 0-2
სიონი-2(ბოლნ) — დინამო (სოხ) 3-1
სიონი (თბ) — ალაზანი (4.12)
ცხუმი — ერთობა 5-1
კახეთი — თბილისი 3-0
გუშინ
ერთობა - კრწანისი 0-3
დასავლეთის ზონა, XV ტური
სტაბი — მეშახტე 1-0
სალხინო — დინამო (ქ) 2-1
იმედი — რაჭა 1-1
სქური — ტორპედო-2 3-0
კოლხეთი (ზ) — დინამო (ზ) 2-0
ოლიმპიკი — მაღაროელი 0-0
ეგრისი — დინამო 2 (ბთ) 1-0
სულთანი — კოლხეთი 2 1-0
გუშინ
დინამო 2 — სქური 1-1
ცენტრალური ზონა
ასა — განთიადი 0-3
მერანი — მესხეთი 1-0
დინამო-აკად — პრემა 0-1
ირაო-ვაკე — ტრნთონი 0-2
თორი — ლიახვი 5-0
სამგორი — ჯაზბეგი 0-3
ზოოვეტი — ზარზმა 6-1
ურეონი — ისეთნიკი.

აღმოსავლეთის ზონა

კახეთი	14	11	2	1	36-10	35
სიონი2(ბოლ)	14	9	3	2	28-8	30
ლოკომ-3	14	9	3	2	24-10	30
ცხუმი	14	7	3	4	29-16	24
დინამო(სოხ)	14	7	2	5	30-17	23
ნორჩ. დინ.	14	6	4	4	24-15	22
კრწანისი	9	6	1	2	18-12	19
თ.სკაკიშვილი	14	5	4	5	20-14	19
ალაზანი	12	5	2	5	10-11	17
თბილისი	13	4	2	7	20-24	14
ნორჩ. დინ.	14	4	2	8	15-22	14
ჰერეთი	13	2	5	6	6-10	11
ერთობა	14	3	1	10	19-30	10
სიონი (თბ)	12	2	2	8	12-36	8
ობერია	13	1	0	12	4-37	3

ცენტრალური ზონა

თორი	14	13	1	0	44-8	40
მერანი	14	9	3	2	24-10	30
ზოოვეტი	14	9	1	4	30-15	28
ჯაზბეგი	14	8	4	2	24-9	28
ლიახვი	14	8	1	5	21-20	25
დინამო-აკად.	14	7	3	4	28-16	24
პრემა	14	7	2	5	25-18	23
ურეონი	14	6	3	5	25-17	21
ასა	14	6	2	6	17-18	20
სამგორი	14	6	2	6	17-32	20
განთიადი	14	4	3	7	16-24	15
მესხეთი	14	3	2	9	19-25	11
ტრნთონი	14	2	3	9	14-25	9
ირაო-ვაკე	14	2	0	12	12-25	6
ზარზმა	14	0	0	14	6-56	0

დასავლეთის ზონა

მაღაროელი	15	9	5	1	39-11	32
სტაბი	15	9	4	2	22-7	31
კოლხეთი (ხ)	14	15	9	1	5	21-17	28
დინამო (ზ)	15	8	3	4	29-21	27
სქური	15	8	3	4	28-17	27
მეშახტე	15	7	5	3	20-15	26
რაჭა	15	6	6	3	28-23	24
ოლიმპიკი	15	6	5	4	18-9	23
სალხინო	15	7	1	7	16-22	22
ტორპედო-2	15	6	2	7	17-21	20
დინამო2(ბთ)	14	4	5	5	11-14	17
სულთანი	15	4	1	10	20-24	13
იმედი	14	3	3	8	11-21	12
დინამო (ქ)	15	2	5	8	19-31	11
ეგრისი	15	3	0	12	12-45	9
კოლხეთი2	15	2	3	10	16-30	9

სხვა პროვინციათა წარმომადგენლები თბილისის „დინამოში"

ვ. გუცაევი

ჯერ კიდევ პოსტსაბჭოურ სივრცეში მოასპარეზე ცნობილ ფეხბურთელს უთქვამს, რომ „თბილისის „დინამო" ერთადერთი გუნდი იყო, რომელიც თამაშს არც ყოდა და არც ყდღეობდა". თბილისის „დინამოს" აღზევებაში არაერთი უცხო ტომის წარმომადგენელს მიეძღვის წვლილი და მათი ამაგის დაფასებაც. ვფიქრობთ, ყურადღების ღირსია. თბილისის „დინამოს" საბჭოთა სივრცეში გამოსულის მთელ პერიოდში გუნდში მოთამაშე უცხო ტომის ფეხბურთელთა რაოდენობა სამ ათეულს აჭარბებს და მათგან სამი საფეხბურთო კლუბის შექმნა თავისუფლად შეიძლებოდა. თუმცა, წონადებიანი საგაზეთო წერილში მინდა ფეხბურთის მოყვარული წარვეფიქნო თბილისის „დინამოში". უცხო ტომის წარმომადგენლთა სატყეოსო ვარიანტი, სათადარგო მოთამაშეთა ჩათვლით.

მეკარე — ალექსანდრე დოროხოვი (მიხაილ პირავეი)

დაცვა — ბორის ფროლოვი, ნიაზ ხოჯაშია, გურამ ცხოვრებოვი (ახრაც ცკვიტა)

ნახევარდაცვა — ვიქტორ პა-

იხ. 33-4 გვ.

უპრეგენზიო ფიფა-უეფა ფულს დაარიგებს, ჩვენ კენჭისყრა გველის

ჭართული სანაცრებო პრესპეტიციოსეთის დეკემბერი მნიშვნელოვანი თვეა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მესვეურნი ფრანკფურტის კენჭისყრის შედეგების მოლოდინში არიან და მარე კი უპირობოდ გასცემენ პასუხს იმ საკობრორტო შეკითხვებს, რომლებიც ასე მწვავედ დგას ქართული ფეხბურთის წინაშე. ვის ჩაბარებენ ნაკრებს? რა პერსპექტივები ექნება უცხოელი სპეციალისტის ხელში ეროვნულ გუნდს, რომელიც გასაად მეექვსე შესარჩევ ციკლს დაიწყებს და ამჯერად, 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრას შეეცდება. მანამდე სფეხ-ბურთო თავკაცნი ორგანიზაციულ საკითხებზე მუშაობენენ და ფიფა-უეფას ფინანსური პროგრამების განხილვაში მონაწილეობენენ. სფეხ-ბურთელები მდივანი მოსკოვში ფინანსთა იმყოფებოდა, თბილისში რამდენიმე საათით დაბრუნდა. შაბათს, ქართველი წარმომადგენლობითი საფეხბურთო დელეგაციის ერეზენში გაემგზავნა, პარასკევს, 5 დეკემბრის კი ფრანკფურტში კენჭისყრაში მიიღებს მონაწილეობას. ალბათ, იქვე მომავალ მატჩებთან მოლაპარაკებებს გამართავენ ჩვენებურები და შეიძლება ნაკრების ახალი მწვრთნელიც დაასახელონ.

მოსკოვური შეხვედრის შესახებ სფეხ-ბურთელებმა მდივანმა ცალური ჩიანარიან ეს გვითხრა. — „მოსკოვში ფიფა-უეფას ერთობლივი სხდომა გაიმართა, რომელზეც ფიფას პროგრამა „გოლი2"-ის და უეფას პროგრამა „ევროტრენინგ" თაობაზე იმსჯელეს. საგულისხმოა, რომ ფიფაც და უეფაც სფეხ-ბურთობით კმაყოფილნი არიან, ჩვენს განაცხადებს და წინადადებებს ყურადღებით ისმენენ და იითვალისწინებენ, მათ ჩვენს მიმართ პრეტენზიები არა აქვთ. ვფიქრობთ, გაისად ერთერულ ნაკრებს პრობლემები არ ექნება, არც ფინანსურია, არც ორგანიზაციული. პრაქტიკულად დადგენილია ნაკრების ტრენერი სპონსორის საკითხი. თუ რაიმე პრობლემები წარმოიშობა სპონსორთან ურთიერთობაში, მათი გადაწყვეტის გარანტად უეფა დადგინდება. ტექნიკურ ცენტრს ექნება ხელოვნურსაფარიანი მოედანი, ნაკრებს ახალი სპორტული ფორმა თებერვალში კომპლექტი საერთაშორისო ტურნირზეც და მთელი შესარჩევი ეტაპის განმავლობაში. 3 დეკემბერს „ვეშაპ" წარმომადგენლებს სამხილოდ დაეფლაპარაკებით. უეფაში შეშნილია ფინანსური დამხმარების სპეციალური დეპარტამენტი, რომელიც უეფას წევრ 52-ეე ფედერაციას ფინანსირად დაეხმარება. თითეული ფედერაცია პროგრამა „ჰეთარიჭას" შეგვთანხმოთ ოთხი წლის განმავლობაში მიიღებს 2,5 მილიონ შეუღარიელ ფრანკს და გაწარდის უეფასთან შეთანხმებული შესაბამისი პროგრამის შესაბამისად. უეფას 50 წლისთავთან დაკავშირებით საზეიმოდ მოეღებთ, დამატებით ერთ მილიონ შეუღარიელ ფრანკს. ეს თანხები მოხმარდება ათამდე მინიფეხბურთის მოედნის მოწყობას, მსაფიო აკადემიას, სპორტული ბაზის აღჭურვას, მწვრთნელთა კურსების და საფრთხედ ჩვენი ფეხბურთის ინფრასტრუქტურის განვითარებას. ერთეული ნაკრების მწვრთნელის ვინაობა კი ჯერჯერობით შემდეგ მოლაპარაკებებისას გაირკვევა".

ერთეული ნაკრების ახალ თავკაცს. ბენდთან შეშაობის დაწყება გაისად, თებერვალში კვიპროსის სატაშორისო ტურნირზე მოუწევს. რაც შეეხება ფრანკფურტის შსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის კენჭისყრას, რეიტინგის მიხედვით საქართველოს ნაკრები მეხუთე კალათაშია მოთავსებული.

საქართველოში რასიზმი არ ყოფილა და არც არასოდეს გამოვლინდება!

სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები თბილისის „დინამოში“

მესამე ბვერდიდან

ნიუკოვი, იური ვარდომიადი (ცქყო ფეხბურთელები)

თავდასხმა — ვლადიმერ გუცაევი, ალექსი ილიადი, ზაურ კალოევი, ანდრო ზაზროევი, ვლადიმერ ბერეკაშვილი (გიორგი გრიგალიშვილო).

ახლა შევეცდები მოკლედ დავახასიათო ყველა ზემოთხსენებული ფეხბურთელი. დავიწყოთ მცირე **ალექსანდრე დოროხოვით.** იგი 1936 წელს მოვიდა გუნდში და ნამდვილ აღმოჩენად იქცა — 1939 წლის საფეხბურთო სეზონის ჩათვლით იცავდა თბილისის „დინამოს“ კარს და 58 კალენდარულ მატჩში გაუშვა 89 გოლი.

ბევრი თაობის ფეხბურთელები ბორის პაიჭაძე, გიორზ ჩუგუაცა, გრიგოლ გაგუა და სხვები მას თბილისის „დინამოს“ ყველა დროის საუკეთესო მცველად მიიჩნევდნენ.

მიხეილ პორეკეი — იგი თბილისის „დინამოში“ ლეგენდარული „სპარტაკიდან“ მოვიდა, ანდრო ფორქანიასა და ალზაფილმა 1955-57 წლებში 23

ვ. დალაქიანი (მარცხნივ) და გურამ ცხოვრებოვი

კალენდარული შეხვედრა ჩაატარა და გაუშვა 33 გოლი.

ბორის ფროლოვი. თბილისის „დინამოში“ ბათუმის „დინამოდან“ გადმოსულმა ამ ტრანსფერმა მცველს 1937 წლიდან 1946 წლის საფეხბურთო სეზონის ჩათვლით 91-ჯერ დაიცვა თბილისის „დინამოს“ ღირსება და გაიტანა 1 გოლი.

ნიაზ ძიაპშიპა — 12 სეზონის განმავლობაში იცავდა თბილისის „დინამოს“ ღირსებას, ამ ხნის განმავლობაში იგი დაცულ ბურჯი იყო. ბევრი დაუკითხავი ცენტრფორვარდის ნეიტრალიზება შეძლო მან ამ ხნის განმავლობაში, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ითამაშა საკავშირო პირველობის 179 კალენდარულ მატჩში და გაიტანა 2 გოლი, ერთ-ერთი მათგანი ხარკოვის „ლოკომოტივთან“, რაბაც თბილისის „დინამო“ დამარცხებისგან იხსნა.

გურამ ცხოვრებოვი — ქუთაისის „ტორპედოში“ გამოპრძმედილი ფეხბურთელი კარგად მოეკრა თბილისის „დინამოს“. მობილური ახსაბლის და აუცილებელ ციხე-სიმაგრედ იქცა მეტოქეთათვის. „დინამოში“ ჩატარებულ 151 მატჩში გაიტანა 4 გოლი. მიწეული იყო საბჭოთა კავშირის ნაკრებშიც, სადაც 7 კალენდარულ მატჩში მიიღო მონაწილეობა.

აზრიკ ცვეიბა — წლების განმავლობაში იგი წარმატებით თამაშობდა თბილისის „დინამოში“ ცენტრალური მცველის ადგილზე, ყურადღებას იმიქცია როგორც შემტევი ტიპის ფეხბურთელმა და სწორედ ამან გააპირობა მისი კიევის „დინამოში“ გადასვლა.



ვ. ბაკუშინი

ვიქტორ პანუშკოი — ამ უნიკალურად ტიპიური ფეხბურთელმა 13 სეზონი თამაშა თბილისის „დინამოში“ და არაერთგზის ისახელა თავი, როგორც გამორჩეულ „ტალკვესად“. „დინამოში“ ჩატარებულ 194 კალენდარულ მატჩში გაიტანა 39 გოლი. გამოდიოდა როგორც ნახევარდაცვაში, ისე თავდასხმაში და მეკარედაც კი უთამაშია. ფეხბურთის ისტორიას, როგორც ცუდნებას ისე შემორჩა მის მიერ 1941 წლის საკავშირო საფეხბურთო სეზონის მატჩი ლენინგრადში ადგილობრივ „სპარტაკთან“. „დინამოს“ მეკარე ამირან ტუბუზაკა გაუძღვეს მოედიდან. კარის დაცვა ვიტერო პანიკუაოს მიანდეს, რომელსაც მანამდე ნეიტრალობა გაუპირო. მოხდა სასწაული — პანიკუაოვმა აიღო რამდენიმე ძნელი ბურთი. მოიგერია 11-მეტრიანი სჯარიმო — და მერე 11-მეტრიანი განერვიულებულმა მეტოქემ კარს აცილა.

ვ. ბერეკაშვილი (მარცხნივ) და ა. დოროხოვი

იური ვარდომიადი — სოხუმის „დინამოში“ აღზრდილ ამ ფეხბურთელს დიდი შრომისმოყვარეობა ახასიათებდა. 1950-1955 წლებში იგი თბილისის „დინამოში“ თამაშობდა, ამ ხნის განმავლობაში 85 კალენდარულ მატჩში მონაწილეობდა და გაიტანა 21 ბურთი.

ჟუკო ფეხლევანიდი — 1940-დან 1946 წლის ჩათვლით თბილისის „დინამოს“ დაცვასა და ნახევარდაცვაში ითამაშა 51 კალენდარული მატჩი, რაც არცთუ მცირე რაოდენობაა იმის გათვალისწინებით, რომ 1941-დან 1944 წლის ჩათვლით საკავშირო პირველობა დიდი სამამულო ომის გამო არ გამართულა.

ვლადიმერ გუცაევი — ამ ფეხბურთელმა თბილისის „დინამოში“ შეცვალა თვით ლეგენდარული სლავა მეტრეველი და კარგადაც გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას, მიწეული იყო სახმოსა კავშირის ნაკრებშიც. უდიდესია მისი წვლილი „დინამოს“ წარმატებებში. მათ შორის ევროპის ჭეშვრების თასების მოპოვებაში.

ე. გრამატიკოპულო

ალექსეი ილიადი — სოხუმის „დინამოში“ აღზრდილი და დავიყვაცებული ეს ფეხბურთელი კარგად მოეკრა თბილისის „დინამოს“. ამ გუნდში გამოსვლის 7 სეზონის განმავლობაში 121 კალენდარული მატჩი ითამაშა და გაიტანა 10 გოლი იგი ერინონის წარმატებით თამაშობდა როგორც შემტევი ნახევარმცველი, ისე შუამხრის ადგილზე.

ზაურ კალოევი — თავით თამაშის ამ უნაღვრო ოსტატმა და გოლის უტყუარი ალღოთი დაჯილდოებულმა ამ ფეხბურთელმა, თბილისის „დინამოში“ ჩატარებულ 200-ზე მეტ შეხვედრაში გაიტანა 95 გოლი. იგი მიწეული იყო საბჭოთა კავშირის პირველ ნაკრებში. ეს ის ფეხბურთელი გახლდათ, რომელმაც თბილისის „დინამოში“ ცენტრფორვარის ადგილზე შეცვალა თვით ლეგენდარული ბორის პაიჭაძე — ფეხბურთის კარუზო“. საქართველოს ყველა დროის უპოპულარესი ფეხბურთელი.

